სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

05/03/2024

MES 1 24 0000268897

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამის განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის -იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 4 მარტის N261952 ბრძანების, საქართველოს ბანკსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების N M-8952 მიხედვით და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (04/03/2024წ; N263135) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამაზე, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით;

2. საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლებათ იმ სტუდენტებს, რომელთა სწავლაც დაფინანსებულია 100% -ით;

3. საქართველოს ბანკის ჯამური სასტიპენდიო თანხის მოცულობა განისაზღვროს 11 480 ლარით, ერთი სტუდენტის სწავლის დაფინანსების მაქსიმალური დარიცხული თანხა - 2870 ლარით (გადასახადების ჩათვლით: საშემოსავლო, საპენსიო);

4. საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამის აპლიკანტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;

5. საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამის აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA 3.0-4.0);
6. კონკურსში მონაწილეთა შეფასება მოხდეს როგორც აკადემიური მიღწევებით, ასევე დაფინანსების მიღების საჭიროებით, ლიდერის როლითა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით.
პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვროს:

- **აკადემიური მიღწევა (მაქსიმუმ 50ქულა):** შეფასდეს აპლიკანტის GPA.
- **ფინანსური საჭიროება (მაქსიმუმ 20 ქულა):** შეფასდეს განმცხადებლის ფინანსური საჭიროება წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის/დოკუმენტის, ფინანსური მდგომარეობის ახსნით;
- **ლიდერობა (მაქსიმუმ 30 ქულა):** შეფასდეს განმცხადებლის დემონსტრირებული ლიდერობა, საუნივერსიტეტო კლუბებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სპორტულ გუნდებში ან სხვა ჯგუფურ აქტივობებში ლიდერობა.

გასაუბრების კრიტერიუმები განისაზღვროს:

- **კომუნიკაციის უნარი (მაქსიმუმ 25 ქულა):** შეფასდეს კონკურსანტის უნარი გამოხატოს იდეები ნათლად და ეფექტურად.
- **პერსონალური მოტივაცია და მიზნები (მაქსიმუმ 20 ქულა):** შეფასდეს კონკურსანტის მოტივაცია არჩეული სასწავლო სფეროს ან მომავალი კარიერის მიმართ.
- **ლიდერობის თვისებები (მაქსიმუმ 30 ქულა):** მოძიებული იქნეს ლიდერული უნარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, წინა გამოცდილება ლიდერის როლში და როგორ გაუმკლავდნენ კონკრეტულ გამოწვევებს.
- **პირადი და პროფესიული პრეზენტაცია (მაქსიმუმ 25 ქულა):** გათვალისწინებული იქნეს კანდიდატის პროფესიული ქცევა, თავდაჯერებულობა და ოფიციალურ ინტერვიუში ჩართვის უნარი.

7. დაინტერესებულ პირებს აპლიკაციების გამოგზავნა შეუძლიათ 2024 წლის 6 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით, შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენით:

- აკადემიური შეფასება;
- სამოტივაციო წერილი;
- ფინანსური საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- რეკომენდაცია ფაკულტეტის დეკანისგან.

8. აპლიკაციის მიღების, პირველი ეტაპის და გასაუბრების თარიღები, განისაზღვროს შემდეგნაირად :

- აპლიკაციის მიღება: 2024 წლის 6 - 15 მარტი;
- პირველი ეტაპი: 2024 წლის 18 - 29 მარტი;
- გასაუბრება: 2024 წლის 1 - 10 აპრილი.

9.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
10.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
11. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
12.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

14. დაინტერესებულმა პირებმა აპლიკაციის ფორმა იხილონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tesau.edu.ge, განცხადებების ველში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
შიოშვილი ირმა